

შპს „საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. ამონაგები რეალიზაციიდან	9
6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	9
7. კომერციული ხარჯები	9
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
9. ძირითადი საშუალებები	10
10. მარაგები	11
11. გაცემული სესხები	11
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
13. ფული და ფულის ექვივალენტები	11
14. საწესდებო კაპიტალი	11
15. გრძელვადიანი სესხები	12
16. გადასახადები	12
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12

შპს “საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანია”

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021 (არააუდიტირებული)	2020 (არააუდიტირებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	5	5,193,111	4,386,833
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(4,331,912)	(3,477,876)
საერთო მოგება		861,199	908,957
კომერციული ხარჯები	7	(540,579)	(553,364)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(337,417)	(296,292)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(81,524)	(39,302)
სხვა საოპერაციო შემოსავლები		111,994	62,622
საოპერაციო მოგება		13,673	82,621
საპროცენტო შემოსავალი		8,662	5,253
საპროცენტო ხარჯი		(13,985)	(7,907)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		850	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(4,739)	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		2,717	11,582
მოგება დაბეგვრამდე		7,178	91,549
მოგების გადასახადი		(11,146)	(27,809)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(3,968)	63,740
წლის სრული მოგება (ზარალი)			
მისაკუთვნებელი:			
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		10,477	61,856
არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე		(14,445)	1,884
		(3,968)	63,740

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 22 სექტემბერს:

გიორგი ნონიაშვილი
დირექტორი

შპს "საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანია"

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021 (არააუდიტირებული)	2020 (არააუდიტირებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	5	5,193,111	4,386,833
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(4,331,912)	(3,477,876)
საერთო მოგება		861,199	908,957
კომერციული ხარჯები	7	(540,579)	(553,364)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(337,417)	(296,292)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(81,524)	(39,302)
სხვა საოპერაციო შემოსავლები		111,994	62,622
საოპერაციო მოგება		13,673	82,621
საპროცენტო შემოსავალი		8,662	5,253
საპროცენტო ხარჯი		(13,985)	(7,907)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		850	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(4,739)	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		2,717	11,582
მოგება დაბეგვრამდე		7,178	91,549
მოგების გადასახადი		(11,146)	(27,809)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(3,968)	63,740
წლის სრული მოგება (ზარალი)			
მისაკუთვნებელი:			
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		10,477	61,856
არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე		(14,445)	1,884
		(3,968)	63,740

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 22 სექტემბერს:



გიორგი ნონიაშვილი
დირექტორი

შპს "საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანია"

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2020 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	722,397	340,907
არამატერიალური აქტივები		115,575	58,627
სულ გრძელვადიანი აქტივები		837,972	399,534
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	174,814	115,656
გაცემული სესხები	11	193,668	167,600
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	338,451	342,748
ფული და ფულის ექვივალენტები	13	69,954	303,928
სულ მიმდინარე აქტივები		776,887	929,932
სულ აქტივები		1,614,859	1,329,466
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	20,610	73,610
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	14	823,487	874,283
კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებული კაპიტალი			
არამაკონტროლებელი წილი		(14,445)	1,884
სულ კაპიტალი		829,652	949,777
გრძელვადიანი სესხები			
ვალდებულებები ფინანსური იჯარიდან	15	289,924	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		289,924	8,802
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	16	3,156	7,008
მოკლევადიანი სესხები	15	207,426	71,715
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	284,701	292,164
სულ მიმდინარე ვალდებულებები		495,283	370,887
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,614,859	1,329,466

შპს "საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანია"

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწედებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელის კაპიტალი	არამაკონტროლ ებელი წილი	სულ
31 დეკემბერი 2019	73,610	987,219	1,060,829	(15,110)	1,045,719
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/ზარალი	-	61,856	61,856	1,884	63,740
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	(2,098)	(2,098)		(2,098)
დივიდენდის გამოცხადება	-	(157,584)	(157,584)	-	(157,584)
31 დეკემბერი 2020	73,610	889,394	963,003	(13,227)	949,777
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/ზარალი	-	10,477	10,477	(14,445)	(3,968)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	(53,000)	-	(53,000)	-	(53,000)
დივიდენდის გამოცხადება	-	(63,157)	(63,157)	-	(63,157)
31 დეკემბერი 2021	20,610	836,714	857,324	(27,671)	829,652

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანია“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2016 წლის 3 ნოემბერს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 416330116.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ადგილობრივი და იმპორტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობა. 2021 წელს კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 40 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. რუსთავი, მიკრო/რაიონი VII, N 8, ბინა N14.

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილს წარმოადგეს შემდეგი საწარმო (ერთად „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2021	2020
შპს „ფერმერისგან“	სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობა	70%	70%

კომპანიის მეწილეები: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობდა გიორგი ნონიაშვილი.

საქართველოს ბიზნეს გარემო. ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2021 წლის 31 დეკემბერს

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც შშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამოწვევის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შემენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შემენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (პირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამეტი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. ჯგუფს არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს ჯგუფში,

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობა	30-40 წელი
დაუმთავრებელი მშენებლობა	2 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	2-5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	1,5-5 წელი

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები(გაგრძელება)

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2021	2020
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	5,149,387	4,309,442
ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან	43,724	77,391
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	5,193,111	4,386,833

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს მარაგის შემენის ფასს და ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

7. კომერციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	(294,206)	(294,761)
საიჯარო ქირა	(60,511)	(91,229)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	(45,790)	(42,945)
საწვავის ხარჯი	(33,728)	(26,129)
ავტომობილის ექსპლუატაციის ხარჯი	(25,753)	(16,940)
ცვეთა და ამორტიზაცია კომერციული	(21,771)	(36,346)
მარკეტინგული ხარჯი	(13,213)	(12,667)
ავტომობილის დაზღვევა	(6,634)	(7,969)
კომუნალური ხარჯი	(2,517)	(1,753)
სხვა კომერციული ხარჯი	(36,456)	(22,625)
სულ კომერციული ხარჯები	(540,579)	(553,364)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(233,736)	(183,690)
საკონსულტაციო ხარჯები	(37,655)	(44,194)
ცვეთა და ამორტიზაცია	(18,749)	(3,863)
ბანკის საკომისიო	(13,747)	(15,959)
საგადასახადო ხარჯი	(6,555)	(5,758)
კომუნიკაციის ხარჯი	(6,245)	(6,838)
რეზერვის ხარჯი	(3,895)	(17,672)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	(738)	-
ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ხარჯი	(299)	(248)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(12,125)	(13,044)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(337,417)	(296,292)

შპს “საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანია”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამი
31 დეკემბერი 2019	35,175	-	36,907	143,576	18,717	234,375
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	152,510	44,257	696	197,463
გასვლა	-	-	-	(10,779)	-	(10,779)
31 დეკემბერი 2020	35,175	-	189,417	177,054	19,413	421,059
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	458,916	217,088	283	11,057	687,344
გასვლა	(35,175)	-	(214,503)	(34,537)	-	(284,215)
31 დეკემბერი 2021	-	458,916	192,002	142,800	30,470	824,188
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2019	-	-	-	(37,509)	(4,163)	(41,672)
წლის დარიცხული ცვეთა	-	-	-	(34,333)	(4,147)	(38,480)
გასვლები	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	-	-	(71,842)	(8,310)	(80,152)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(7,408)	-	(10,201)	(4,030)	(21,639)
გასვლები	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	(7,408)	-	(82,043)	(12,340)	(101,791)
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020	35,175	-	189,417	105,212	11,103	340,907
31 დეკემბერი 2021	-	451,508	192,002	60,757	18,130	722,397

შპს “საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანია”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. მარაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საქონელი	171,574	111,864
საწვავი	2,380	1,891
სხვა მასალები	860	1,901
სულ მარაგები	174,814	115,656

11. გაცემული სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
იურიდიულ პირზე გაცემული გაცემული სესხი	USD	5%	193,668	167,600
სულ გაცემული სესხები			193,668	167,600

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	355,233	352,372
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	597	3,321
მოკლევადიანი ავანსები	6,777	7,316
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	362,607	363,009
საექვო და უიმედო ვალების რეზერვი	(24,156)	(20,261)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	338,451	342,748

13. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული ბანკში	59,079	137,267
ფული სალაროში	10,875	152,561
შეზღუდული ფული	-	14,100
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	69,954	303,928

14. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2021 წლის ბოლოს შეადგენს 20,610 ლარს. ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

დივიდენდები

პარტნიორთა კრება წვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და განაწილების წესს.

2021 წლის განმავლობაში კომპანიაში გამოცხადდა და გაიცა დივიდენდი 63,157 ლარის ოდენობით (2020: 157,584).

შპს “საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანია”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. გრძელვადიანი სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	USD	7%	289,924	-
სულ გრძელვადიანი სესხები			289,924	-

მოკლევადიანი სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
დაკავშირებული საწარმოსგან მიღებული სესხი	GEL	8%	185,000	71,715
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	USD	7%	22,426	-
სულ მოკლევადიანი სესხები			207,426	71,715

16. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	264,051	231,303
მიღებული ავანსები	20,650	60,861
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	284,701	292,164